შპს - კავკასიის უნივერსიტეტი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინიპების, სწავლების/სწავლის და კვლევის პროცესების ინტეგრირების, ერთობლივი შემოქმედებითი ღონისძიებების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით შპს - კავკასიის უნივერსიტეტი და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური პროექტების ერთობლივ განხორციელებას ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით;

- ჰუმანიტარული, სოციალური და ტექნოლოგიების მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერ-კლასებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;

- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.
1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს ურთიერთშეთანხმებით გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები და სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები.
1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს სტუდენტების მომზადებაში. განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ექსპერტიზაში.
1.5. საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის სემინარების ჩატარებას ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდიკის საკითხებზე.
1.6. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, საკონცერტო-სანახაობით წარმოდგენებს, გამოფენებს და სხვ.
1.7. უზრუნველყოფენ უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის
პრეზიდენტი, პროფესორი — კ. შენგელია

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია

27 თებერვალი, 2012 წელი